SWEDEN

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება

მუნიციპალიტეტების გზამკვლევი

შესავალი/წინასიტყვაობა

მყარი ნარჩენების მართვა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გამოწვევაა.[1] ქვეყანაში ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება მჭიდროდაა დაკავშირებული ცხოვრების დონის ამაღლებასთან, გარემოს დაცვასა და ქვეყნისათვის დამატებითი შემოსავლების მიღებასთან. ნარჩენების არასწორმა მართვამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს როგორც გარემოზე, ისე ადამიანის ჯანმრთელობაზე ატმოსფერულ ჰაერში, ნიადაგში, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებში ემისიების გზით.

ამასთან, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების - ადამიანის საქმიანობით წარმოქმნილი ნარჩენები - შეგროვება და ტრანსპორტირება განთავსების ადგილამდე, ნაგავსაყრელამდე, წარმოადგენს მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებას.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების გზამკვლევის მომზადების მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაში. მყარი საყოფაცხოვრებო ნაჩენების მართვა დაიგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოს დასუფთავების სერვისის ხელმისაწვდომობა, გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკის მინიმიზაცია და მოსახლეობისა და ვიზიტორებისათვის მუშაობისა და დასვენების ჯანმრთელი გარემო პირობების შექმნა.

გზამკვლევი მომზადდა საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"და „ნარჩენების მართვის კოდექსის“ საფუძველზე კითხვა-პასუხის ფორმატში. დოკუმენტი განსაზღვრავს ნარჩენების მართვის გეგმის სტრუქტურას და მისი თითოეული ნაწილის მომზადების პრინციპებს. აგრეთვე, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადებისა და მიღების საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ ჩარჩოებს.

ძირითადი კითხვები და შესაბამისი პასუხები

1. კითხვა: რატომ არის სავალდებულო მუნიციპალური ნარჩენე-

1 დაასუფთავე საქართველო; *მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა საქართველოში;* 2012, გვ. 2.

ბის მართვის გეგმის შემუშავება მუნიციპალიტეტების მიერ?

პასუხი: ნარჩენების მართვის კოდექსის მე-13 მუხლით გათვალისწინებულია ყველა მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის შემუშავება.

2. კითხვა: როდის უნდა იქნეს მიღებული მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები?

პასუხი: მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს 2017 წლის 31 დეკემბრამდე (ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 48, მე-7 ნაწილი).

3. კითხვა: შესაძლებელია თუ არა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებთან ერთად?

პასუხი: მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა შესაძლოა შემუშავდეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად (ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 13, პირველი ნაწილი).

4. კითხვა: რომელ გეგმებს უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა?

პასუხი: მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ გეგმას (ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 13, მე-2 ნაწილი), ცალკეული სახეობების ნარჩენების მართვის გეგმებს, როგორიცაა მდგრადი ორგანული დამბინძურებლები, ვერცხლისწყალი, სამედიცინო ნარჩენები, ცხოველური ნარჩენები, აზბესტის ნარჩენები და სხვა (ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 12, მე-7 ნაწილი).

5. კითხვა: რომელი გეგმებია დღეისათვის შემუშავებული, რასაც უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა?

პასუხი: მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს დღეისათვის მოქმედ შემდეგ დოკუმენტებს/გეგმებს:

- ❖ ნარჩენების მართვის ეროვნული გეგმა (2016-2020);

(ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 12, მე-7 ნაწილი).

6. კითხვა: რომელი მიდგომა/მეთოდოლოგია უნდა იქნეს გამოყენებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში?

პასუხი: მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში რეკომედებულია გამოყენებული იქნეს „ეროვნული ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის“ შემუშავების პროცესში გამოყენებული „ლოგიკური ჩარჩო მიდგომა“ (Logical Framework Approach

- LFA), რომელიც ითვალისწინებს არსებული სიტუაციის შეფასებას და გამოწვევების იდენტიფიცირებას, ასევე, შესაბამისი მიზნების განსაზღვრასა და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას.

LFA მიდგომა შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

- ❖ ხედვა
- ❖ მიზნები (ხედვის შესაბამისად)
- ❖ ამოცანები (მიზნების შესაბამისად)
- ❖ ღონისძიებები (ამოცანების შესაბამისად, ღონისძიებებს უნდა ჰქონდეს მითითებული შესრულების ვადები)

ქვემოთ ილუსტრირებულია აღნიშნული მიდგომა:



7. კითხვა: რით დავიწყოთ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესი?

პასუხი: გეგმის შემუშავების **საწყის ეტაპზე** მუნიციპალიტეტის ფარგლებში რეკომედებულია:

- ❖ *სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება* (3-5 წევრის შემადგენლობით) იმ სამსახურების წარმომადგენლებისგან, ვისაც შეხება აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან (მაგალითად, გამგეობის ინფრასტრუქტურის, ზედამხედველობის, იურიდიული, საფინანსო სამსახურებიდან და ა.შ);
- ❖ *დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება* (მაგალითად, ლოკალური საწარმოები, ფერმერები, ქალთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ).
- ❖ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიღებამდე უნდა გაიმართოს საჯარო განხილვები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული პირები და მოსაზღვრე მუნიციპალიტეტები (ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 13, მე-3 ნაწილი).

8. კითხვა: ვინ არის პასუხისმგებელი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის საჯარო განხილვების მოწყობაზე?

პასუხი: მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის საჯარო განხილვები უნდა მოაწყოს შე-

SWEDEN

საბამისმა მუნიციპალიტეტ(ებ)მა.

საჯარო განხილვების დროს გამოთქმული კომენტარები და შენიშვნები უნდა იქნეს დაოქმებული და შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული სამოქმედო გეგმაში. ოქმში, ასევე, უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია/დასაბუთება იმ კომენტარებისა და შენიშვნების შესახებ, რომლებიც არ იქნა გათვალიწინებული.

9. კითხვა: როგორია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის სტრუქტურა-რას უნდა მოიცავდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა?

პასუხი: მუნიციპალური ნარჩენების მართვის **გეგმის სავარაუდო სტრუქტურა შემდეგია:**

1. შესავალი

მოიცავს სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნობრიობას და დოკუმენტის მოკლე მიმოხილვას; განმარტებულია დოკუმენტის შედგენისას გამოყენებული მეთოდოლოგია; მითითებულია გეგმის კავშირი სხვა გეგმებთან, რომლებიც თემატურად არიან მასთან დაკავშირებული; საჯარო კონსულტაციების ფორმატის აღწერა და კონსულტაციების შედეგების ასახვის დონე დოკუმენტში.

2. არსებული სიტუაციის ანალიზი

შემუშავების მომენტისთვის არსებულ ვითარება, რომელიც ეფუძნება კონკრეტულ რაოდენობრივ ან ხარისხობრივ მაჩვენებლებს; ინფორმაციას მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ; მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმით დაინტერესებული მხარეები, ბენეფიციარები/სამიზნე ჯგუფები; შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი, მ.შ. სამოქმედო გეგმის შემუშავების დროისათვის არსებული ნორმატიული ბაზის ანალიზი.

3. წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები

არასახიფათო ნარჩენები

მონაცემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი, შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობის შესახებ, შემდეგი სახეობების მიხედვით:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;
- მუნიციპალური ნარჩენები - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია;

- კომერციული ობიექტების ნარჩენები[2];
- ქუჩის მონახვეტი;
- ფოთოლი და ბაღის ნარჩენები;
- სამშენებლო ნარჩენები.

სახიფათო ნარჩენები

მონაცემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ.

ნარჩენების პროგნოზირება

5 წელიწადში მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების პროგნოზირება: მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის ტრენდისა და ნარჩენების შეგროვების სერვისის/მომსახურების დაფარვის არეალის ზრდის ფაქტორების გათვალისწინებით.

4. არსებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის მიმოხილვა

ნარჩენების მართვის კოდექსის, მუხლი 16, პირველი ნაწილის შესაბამისად, „მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სიტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.“

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და დამუშავება უნდა განხორციელდეს „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ საქართველოს მთავრობის N143 დადგენილების (29.03.2016) შესაბამისად.

გეგმის აღნიშნული ნაწილში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებასა და გატანაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცი/ებ/ის შესახებ; ინფორმაცია მუნიციპალიტეტში დასუფთავების სერვისის განხორციელებისათვის არსებული კონტეინერების ტიპების და რაოდენობის, ასევე სატრანსპორტო საშუალებების შესახებ.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებები

სატრანსპორტო საშუალების დასახელება	საშუალო მოცულობა მ³	სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მდგომარეობის მიხედვით (ქვემოთ იხილეთ შენიშვნა)			სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წლების მიხედვით		
		ძალიან კარგი მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა	ცუდი მდგომარეობა	>10 წელი	5-10 წელი	<2 წელი
ჯამი							

2 მოიცავს ბაზრების, მაღაზიების, ოფისების, რესტორნების, საწყობებისა და სასტუმროების ნარჩენებს (მსხვილ კომერციულ დაწესებულებებს შეუძლიათ თავად უზრუნველყონ საკუთარი ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ხოლო მცირე საწარმოები ხშირ შემთხვევაში გამოიყენებენ საერთო კონტეინერებს).

5. ნარჩენების დამუშავების საწარმოები

გეგმის აღნიშნული ნაწილი მოიცავს ინფორმაციას, აღწერას:

- მუნიციპალიტეტში არსებული ოფიციალური მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელი/ების შესახებ;
- მუნიციპალიტეტში არსებული არაკონტროლირებადი, სპონტანური ნაგავსაყრელების შესახებ;
- ასევე, ინფორმაცია ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების შესახებ: აღდგენა (რეციკლირება მაგალითად, პლასტმასი, ქაღალდი, მინა, ორგანული ნარჩენის კომპოსტირება და ა.შ)

6. მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემა

2019 წლის პირველი თებერვლიდან (საქართველოს კანონით ნარჩენების მართვის კოდექსი, მე-50 მუხლი, მე-6 ნაწილი) მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება (ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 16,ნაწილი პირველი (ბ)).

გეგმის აღნიშნული ნაწილი მოიცავს ინფორმაციას მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის, ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის დანერგვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ასევე, ინფორმაციას ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის შესახებ.

7. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები

გეგმის აღნიშნული ნაწილი მოიცავს პროგრამებს, ღონისძიებებს ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით;

უნდა იქნეს გამოყენებული კომუნიკაციის ისეთი ელემენტები, როგორიცაა საინფორმაციო ბიულეტენები ან ელექტრონული გზავნილები, რომლებიც საზოგადოებას მიაწოდებენ ინფორმაციას დაგეგმვის პროცესისა და მისაღწევი შედეგების შესახებ; საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ ინფორმაციის მედიაში გაშუქება (დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების, საზოგადოების ინფორმირების ღონისძიებების და ა.შ.);

დაგეგმვის პროცესის განმავლობაში პერიოდულად საჯარო პრეზენტაციების ჩატარება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განვითარების სტატუსთან დაკავშირებით.

8. თანამშრომლობა მეზობელ მუნიციპალიტეტებთან

ინფორმაცია ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის არსებული და დაგეგმილ ღონისძიებების შესახებ.

9. მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხარჯების განსაზღვრა

ინფორმაცია მუნიციპალური ნარჩენების მართვის მოქმედი სისტემის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების შესახებ;

მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული სისტემის დაფინანსების დონის აღწერა, კერძოდ:

- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების დაფინანსების მექანიზმი მომხმარებელთა გადასახადების, საბიუჯეტო წყაროებისა და სხვა დაფინანსების წყაროების ჩათვლით;
- არსებული მოსაკრებლების განაკვეთები (ერთეულის მიხედვით / მომხმარებლების გადასახადები) და მათი ამოღების მაჩვენებლები ყველა სახის ნარჩენების წარმომქმნელისათვის (საყოფაცხოვრებო, კომერციული და ა.შ.);
- ნარჩენების მართვის მომსახურების დაფინანსებაში არსებული ძირითადი პრობლემები (მაგალითად, მოსაკრებლების გადაუხდელობა, ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი სახსრების არადანიშნულებით გამოიყენება და სხვა).

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და ნარჩენების განთავსების სისტემის გაუმჯობესებისათვის სავარაუდო ხარჯებისა და დაფინანსების წყაროების განისაზღვრა.

10. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის პერიოდულად განახლება საჭიროებების გათვალიწინებით

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა წარმოადგენს განახლებად დოკუმენტს ყოველწლიური გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ნარჩენების მართვის სექტორში ახალი გარემოებების (მაგალითად, თანამედროვე ტექნოლოგიები, სპეციფიური ნარჩენების მართვი გეგმების მიღება, სამთავრობო სტრატეგიები და ა.შ) გათვალისწინების საფუძველზე.

ამასთან, მოსალოდნელია მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პირობების ცვლილება საწყის ეტაპზე დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების შედეგად და მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სისტემაზე მოქმედი ფაქტორების (მოსახლეობა, ახალი ბაზრები რეციკლირებული და კომპოსტირებული ნარჩენებისათვის და ა.შ.) ცვლილებების ფონზე. „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრულია მუნიციპალიტეტებისაგან მუნიციპალური ნარჩენების გეგმის განახლება ხუთი წლის თავზე.

11. სამოქმედო გეგმის მაგალითი

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	საპროგნოზო ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის ჩამოყალიბება 2017 წლისათვის.	• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ ინფორმაციის არ არსებობა	• მუნიციპალიტეტში ნარჩენების აღრიცხვაზე და ბაზაში განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა; • სერვისის განმახორციელებელი კომპანიების კონტრაქტში ყოველდღიურად გატანილი ნარჩენების აღრიცხვისა და მუნიციპალიტეტში ყოველთვიურად მონაცემების მიწოდების ვალდებულების ჩადება; • მონაცემთა ელექტრონული ბაზის შემუშავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.	წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა ელექტრონული ბაზა	2018 წლის 1 თებერვალი	თვითმმართველი თემი XX მუნიციპალიტეტი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	XX ლარი	დონორები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი